საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 28 ივლისი 14 1899 წ. № 27

შინაარსი: ორიოდე სიტყვა ასოთ-ამწყობთა შესახებ ასოთ-ამწყობისა. — სხვა-და-სხვა ამბები. — „კვალის“ კორესპონდენციები. — პარლამენტი და ქუჩა, წერილი ბელგიიდან ლ. დ—სა. — მეგობრობა და სიყვარული — ლექსი კ. გოგოლაძისა. — ევროპის ძველი და ახალი მეურნეობა (შემდეგ.) ფ. პატრიშვილისა. — ქართველ ფარმაცევტთა საყურადღებოთ. — კრიტიკული შენიშვნები — ივ. ბოლმართელისა. — ჩვენ კიდევ ვიბრძოლებთ (ტურგენიევიდან) — კორესპონდენტი მისივე — და სქველმოქმედო საქმე.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

> რადგანაც ამ ჟამათ ნ. ჟორდანია თფილისში არ იმყოფება, ამისათვის ყოველივე სარედაქციო მიწერ-მოწერა და კორესპონდენციები 15 მარიამობისთვემდე უნდა გამოიგზავნოს მხოლოთ რედაქციის სახელზე.

ორიოდე სიტყვა ასოთ ამწყობების შესახებ.

პუშკინის დღესასწაულმა თფილისის ზოგ რედაქციების ყურადღება ასოთ-ამწყობებისაკენაც მიაქცია. იმათ მოიყარეს თავი და შინაურულათ გადაწყვიტეს, დაეხმაროთ ასოთ-ამწყობებსო. მარა რაში ან როგორ უნდა გამოხატულიყო ეს დახმარება ჯერ კიდევ არ ვიცოდით და აი ეს გვამცნო „ახ. მიმოხ.“ ბ. ლალმა. (№ 5316). ბ. ლალმა თავის წერილს დაარქვა „დახმარება ასოთ ამწყობებს“, ნამდვილათ კი ის ასოთ ამწყობების გზა-კვალის აბნეევა და მეტი არაფერი. ამათ ახლა დაიწყეს ცოტაოდნათ თავის თავზე ფიქრი, თავის მდგომარეობის შეგნება, თავის ინტერესების გაგება და ბ. ლალი მოსულა და ყველა ამას დედა-ბუდიანათ უნგრევს და ხელში სულ სხვა რაღაცაც აჩრის. და აი, ეს რაღაცა გახლავს ქველ-მოქმედება. ვითამ ჩვენ ვთხოულობდეთ მოწყალებას და არა იმას, რაც გვერგება და რასაც არ გვანებებენ.

ბ. ლალი ამბობს: სტამბაში 14—15 საათს მუშაობენ, სამი-ოთხი წლის შემდეგ ხელები უკანკალებთ, აზრი აღარ მუშაობს, თვალი უფუჭდებათ და კიდევ რამდენიმე წელიწადი და მათი ორგანიზმი იშლება და ყოველასავე საღსარს მოკლებული უპატრონოთ რჩებიან, როგორც თითონ, აგრეთვე მათი ცოლ-შვილიც; ამიტომ საჭიროაო — განაგრძობს აეტორი — ამ მოხელეთ პუშკინის სახელობაზე შეეუდგინოთ დამხმარებელი კასა და როცა მუშაობა აღარ შეეძლებათ დახმარება აღმოეუჩინოთო და სხვ..

ეს ფონი ძლიერ კარგია მარა ერთ ალაგას ახრჩობსო — ამბობს ქართული ანდაზა და სწორეთ ესევე ითქმის ამ პროექტზედაც. ბ. ლალი ჭეშმარიტათ ასურათებს ასოთ-ამწყობებთა მდგომარეობას, მარა აქედან ისეთი დასკვნა გამოჰყავს, რომ სარგებლობის მაგიერ მხოლოთ ენებას მოიტანს. ის წერს: „14 საათი მუდმივი მუშაობა აუტანელ ატმოსფერაში—

ეს ნამდვილი კატორღაა და არც გასაკვირველია, რომ ასოთ-ამწყობის სიცოცხლე, საშუალოთ, ასე ხან მოკლე იყოსო!“ ჩინებულია, მარა ნუ თუ ამის წამალი ქველ-მოქმედებაა? თუ კი ხან მოკლეობის მიზეზია გრძელი სამუშაო დღე და სტამბის ანტისანიტარული მდგომარეობა, ცხადია ეს უკანასკნელნი უნდა მოისპოს, რომ მით მოისპოს ან შემცირდეს პირველი. ამუშაევეთ ნაკლები, ასე 9—10 საათი, გაუმჯობესეთ სტამბები ჰიგიენურათ, სტამბებს ნუ ამუშაევებთ სარდაფებში და ნოტიო ადგილებში, სადაც სანიტარული წესითაც კი აკრძალული უნდა იყვეს და სხ., მარა ყველა ამის მაგიერ გვეეუბნებით და გვითითებთ სამოწყალო ᲬᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ.

ჩვენ მოწყალებას არავის არ ვთხოვთ, ბ-ნო ლალო! ჩვენთვის ის იქნება დახმარება, როცა მესტამბეები სტამბებს გაუმჯობესებენ, სარდაფებიდან ამოიტანენ და 12—13 წლის ბავშებს, 14—15 საათის მუშაობის შემდეგ, იმავე სარდაფში არ დააძინებენ ღამე და ჩვენც უფრო ადამიანურათ მოგვექცევიან და ჯამაგირს რაცხა, ორ კაპეიკს ვიღებთ, თავის დროზე მოგვცემენ. ხოლო თქვენ კი ყველა ამის მაგიერ გვირჩევთ: იყავით „კატორგაში“, იხრჩეეთ მოწამლულ ᲰᲐᲔᲠᲨᲘ‘ მოკვდით უდროოთ, და ბოლოს ჯილდოს მოგცემთო! [1]) სწორეთ ეს სურთ ხაზაინებსაც და თქვენ ბ. ლალო, ძალიან კარგათ შეგიგნიათ მათი ინტერესები. და თანაც მუშებისათვის თავსა დებთ! დარწმუნებული ვართ, სტამბის პატრონები თქვენ პროექტს აღტაცებით მიიღებენ. და ვინ არ იქნება იმის თანახმა, რომ ასი მანეთიდან ერთი მანეთი მისცეს იმას ვინც ეს ასი მანეთი მოუპოვა და ამასთანავე თავდადებულის სახელიც დაიმსახურონ. ეს ძალიან სარფიანი ლიბერალობაა, არა, ბ. ლალო?

ასოთ-ამწყობი.

[1]) ძალიან საკვირველი პროექტი წარმოუდგენია ბ. ლალს. ხელები გაკანკალებდეთ, მსედველობა დაკარგოდეთ, უდროოთ საფლავში ჩადით — მარა ნუ გეშინიანთ, გასიდან დახმარებას მიიღებთო. არა ბატონო, ჩვენ არ გვინდა არც ხელის კანკალი, არც მსედველობის დაკარგვა, არც სიკვდილი და არც ეს თქვენი „მაძაკვდინებელი“ კასა. ჯერ ბირველი აგვაცდინეთ თავიდან და მერე კასაზედაც გველაპარაკეთ. ერთმა ასოთ-ამწყობთაგანმა, რომელმაც მთელი თავის ახალგაზრდობა სტამბაში გაატარა, ამ დღეებში თავი დაანება ამ ხელობას და სარდაფში დადგა. რატომ? იმიტომ რომ ველარ გაუძლო თავის ხელობას და საფლავში ჩასვლა კი არ ეჩქარებოდა. ასლა ერთი მითხარით რით გამოადგებოდა ეგ თქვენი ქველმოქმედება იმას? მე მგონია იმით რომ ასე ადვილათ ველარ დატოვებდა თავის ხელობას, იქ შეტანილი ფული დამეკარგებოდა და საფლავშიაც ადრე ჩავიდოდა.

„ᲙᲕᲐᲚᲘᲡ“ ასოთამწყობი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ᲒᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔ ცესარევიჩის გვამი 7 ივლისს წამოასვენეს აბასთუმნიდან ბორჯომს, ხოლო მეორე დღეს 8 ივლისს ბორჯომიდან ბათომს, საიდანაც გამგზავრებულ იქმნა პეტერბურღს. სამგლოვიარო პროცესიას თან ახლდა დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე, კავკასიის მთავარ მართველი თ. გოლიცინი, საქართველოს ეგზარხოსი, თფილისის ღენერალობა, თავად-აზნაურობის და ქალაქების წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი. ბათომში ცხედარს დახვდენ დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და ოლღა ალექსანდრეს ასული, დიდი მთავარნი: მიხეილ ალექსანდრეს ძე, ალექსი ალექსანდრეს ძე და ალექსანდრე მიხეილისძე.

—

გასულ კვირაში ს. ბეთანიაში, თავის მამულში გადაიცვალა ბარონ ალექსანდრე პაველეს ძე ნიკოლაი. ბარონი დიდხანს მსახურებდა კავკასიაში და როგორც ნამესტნიკ-ს მთავარ სამართველოს უფროსი, მხურვალე მონაწილეობას იღებდა გლეხთა განთავისუფლებაში, სასამართლოს რეფორმების და სხ. ცვლილების შემოღებაში. ის გარდაიცვალა 78 წლისა. წაასვენეს ფილლიანდიაში მამა-პაპეულ სამშობლოში, ს. მონრეპოში დასაკრძალავათ.

—

7 ამ თვეს „ახ. მიმოხ.“ რედაქციაში მოხდა ადგილობრივი რედაქციების წარმომადგენელთა კრება შესახებ იმისა, რომ ასოთ-ამწყობებისათვის დაარსდეს დამხმარებელი კასა. კრებაზე გამოითქვა, რომ ჯერ თვით ასოთ-ამწყობთ შეეკითხო, სურთ ასეთი კასა თუ არა და მერე შემუშავდეს პროექტიო. გარდა ამისა, საჭიროა ეს კითხვა გავაფართოოთ და ასოთ-ამწყობთა შრომის პირობების გაუმჯობესობას შეეუდგეთო — განაცხადა ერთმა. ყოველივე ამის გამოსარკვევათ და მასალების შესაკრებათ არჩეულ იქმნა კომისია ხუთი კაცისაგან, რომლის მოვალეობაა: მოელაპარაკოს ასოთ-ამწყობთ, სტამბის პატრონთ და „საზოგადოების“ პროექტი შეიმუშაოს სექტემბრისათვის. კომისიაში არჩეულია შემდეგი პირები: ა. ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალანთარი, ა. ი. კუზმინი, ნ. ჟორდანია, გ. ლასხიშვილი და კ. ი. მარტიროსიანცი.

—

ქართულ დრამატიული საზოგ. გამგეობამ დანიშნა სამი პრემია—120 მ., 80 მ. და 50 მ.—ორიგინალური პიესებისათვის და მოიწოდებს ქართველ მწერლებს წარუდგინონ მას თავიანთი დრამატიული ნაწარმოებნი არა უგვიანეს 15 ენკენისთვისა, განსახილველათ და ჯილდოს მისაცემათ. ხოლო გადმოკეთებულ პიესებს მიეცემა ჯილდოთ 50, 30 და 20 მ.

—

იმავე საზოგადოების გამგეობა მოიწოდებს პირველი ენკენისთვისათვის სცენის მოყვარეთა მონაწილეობა მიიღონ გამოსაცდელ წარმოდგენებში და მოწონებულნი ჩარიცხული იქნებიან დამდეგი სეზონის ტრუპაში.

—

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა აცხადებს, რომ 15 ამ თვიდან ახალ განკარგულებამდე ბათომში მიმავალ დილის მატარებელზე და ბათომიდან მომავალ საღამოს მატარებელზე (№ 1 და 2) არ წაიყვანენ იმ მგზავრთ, რომელთაც მხოლოთ თფილისსა და გორს შუა სურთ მოგზაურობა. ამათთვის დანიშნულია ეგრეთ წოდებული გორის მატარებლები.

—

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ, კავკასიის საინტენდანტო სამმართველოს თხოვნით, წინადადება მისცა ამიერ კავკასიის მემამულეთ, მოისურვებს თუ არა რომელიმე თქვენგანი იჯარით კავკასიის ჯარისათვის საჭირო ქერის მიცემას 1899—1900 წელსო. სულ საჭიროა 50,500 ფუთი ქერი.

—

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციას დაუმტკიცებია წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობის განკარგულება იმის შესახებ, რომ სენაკის სკოლის გამგეთ ბ-ნი მთავრიშვილი იქმნას დანიშნული, ხოლო ამ სკოლის გამგეთ ნამყოფი ს. ყიფიანი ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლათ იქმნას გადაყვანილი.

—

ქალაქის გამგეობის საფინანსო კომისიას დაუღგენია: 1) მომატებულ იქმნას შემოსავლის აღრიცხვა 77,821 მანეთით, რომელიც შემოვა დაფასების გარდასახადის მომატების გამო და 2) შემცირებულ იქმნას ქალაქის ზოგიერთი ხარჯი 25,615 მანეთით.

—

კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა გზათა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ დაჩქარდეს რკინის გზებით იმ ღვინოების გაზიდვა, რომელიც იგზავნება პირდაპირ გზით, და თავიდან იქნას აშორებული ღვინის გზაში გაჩერება, რადგან იგი ადვილათ ფუჭდება; ამასთან იქონიონ რკინი გზებმა 1-ლ ოქტომბრიდან 1-ლ აპრილამდე თბილი ვაგონები.

—

პეტერბურღიდან „ტფ. ფ.“-ს ატყობინებენ, რომ ვაზის წამლობის გასავრცელებლათ ნება მიეცა ყველას, ვისაც ვაზის სამკურნალო საშუალებათა საწყობები აქვს, გამოიწეროს სამკურნალო იარაღები, შაბიამანი და გოგირდი საზღვარ-გარეთიდან უბაჟოთ.

—

ბათომის მახლობლათ რუსთა ახალ-შენის დაარსება, როგორც ჩერნ. ვესტ. იუწყება, საბოლოოთ გარდაუწყვეტიათ. ესი რუსის ოჯახის წარმომადგენელთ იჯარით აუღიათ სამასიოდე დესეტინა ადგილი ბათომის ოლქის გონიოს ნაწილში (კიზილ თოფრახში).

—

ფილოქსერისაგან ვაზების წამლობის დროს დაზარალებულ მევენახეთა შორის შემწეობის განაწილების შესახებ გაზ. „ნოვ.“ში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: ადგილობრივი ადმინისტრაცია ისე ანაწილებს ფულებს, რომ ამ ფულის უმეტესი ნაწილი შეძლებულ მევენახეთ ეძლევათ, ხოლო თითო-ოროლა გროში კი ულარიბეს მევენახეთ, თუმცა აღნიშნულ შემწეობის საგანი სრულიად წინაალმდეგია. მიწათ-მოქმედების სამინისტროს ამოუჭრია ხსენებული კორესპონდენცია „ნოვ.-დგან და გამოუგზანია მიწათ მოქმედების რწმუნებულისათვის, რომელსაც თხოვს, გამოიძიეთ ფულის განაწილების საქმე და აგვიხსენით „ნოვ.-ში ასეთი კორესპონდეციის დაბეჭდის მიზეზი.

—

ოჩამჩირეში 28 ივნისს მოხდა დეპუტატთა არჩევნები. ენჭი იყარეს პროვიზორმა ი. კაცინსკიმ, კ. ელიავამ, დავითაიამ და ხონელიამ. არჩეულ იქმნა დავითაია და ხონელია; ხოლო მათ კანდიდატათ ჯავახია.

—

ლაპარაკია, აღძრული იმის შესახებ რომ ამ წლის სექტემბერს ან ნოემბერს მოახდინონ ლიტერატორთა კრება რუსეთში ჟურნალ-გაზეთების მდგომარეობის და საჭიროების გამოსარკვევათ. კრებაზე დასწრების ნება ექმნებათ: რუსეთის მწერალთა კავშირის წევრებს, სამეცნიერო და დრამატიულ საზოგადოებათა წევრებს და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებს (თითოსაგან — ორ-ორი).

—

ქუთაისიდან გვწერენ. 6 იელისს მოხდა შეერთებული სხდომა გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტისა. გაარჩიეს თხოვნები კანდიდატებისა, რომელთაც სურდათ დამფასებლობა. რადგან რიცხვი კანდიდატთა მრავალი აღმოჩნდა, შეერთებულმა სხდომამ ერთ ხმათ გადაწყვიტა, ამორჩევის დროს ყურადღება მიექცეს უმაღლეს განათლებას და არა სხვა რამე კერძო დამოკიდებულებას. ამ სახით არჩეულ იქნენ დამფასებლებათ: ილია ლუკას ძე ბახტაძე, ცნობილი პუბლიცისტი, ნიკოლოზ ალექსის ძე დგებუაძე, რომელსაც გაუთავებია აგრონომიული სასწავლებელი მონპელიეში და ანტონ სტეფანეს ძე მეფისოვი, კურს დამთავრებული მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე.

—

ოზურგეთში დაუარსებიათ ახალი ამხანაგობა სახელწოდებით „შრომა და კაპიტალი.“ საწევრო გადასახადი 20 მან., წევრათ ჩაწერა შეუძლიან ქალსაც ხნოვანებით არა ნაკლებ 25 წლისას. საზოგადოებას საგნათ აქვს გახსნას მაღაზიები და გაჰყიდოს უსაჭიროესი საქონელი ყველასათვის ხელ-მისაწვდომ ფასათ.

„ᲙᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ.

ᲠᲐᲑᲐ ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ. ფოსტა, სამკითხველო, ორკლასიანი სასწავლებელი, საყდარი და თან რკინის გზა ზედვე ახლოს—აი ის ორგანოები, რომელიც ძლიერ უწყობს ხელს ლანჩხუთელებს გონებრივ და ქონებრივ გამდიდრებისთვის. ბათომიც ახლოა, ის ბოლოზი, სადაც რამდენიმე ათი ათასი მუშა არის საჭირო ყოველ დღე, სადაც გურიიდან (იმათ რიცხვში ლანჩხუთელებიც ბევრია) მრავალი იყრის თავს სამუშაოს მოსაპოვებლათ. მიწაც ძლიერ ნოყიერია, რომლის ქცევა სხვა კუთხეზე შედარებით უფრო მეტს იძლევა, ჰავა კი ნოტიო, მარა რა ეუყოთ, მთა და ბარი ვის გაუსწორებია, ყველაფერით ბუნებისაგან დაჯილდოებული სოფელი ძრიელ იშვიათი სანახავია. მკითხველი იფიქრებს, რომ რადგანაც ბუნება აგრე მდიდარია, უმთავრესი ორგანოებიც საკმაოთ არის, მცხოვრებიც მდიდრები იქნებიანო. არა, ჩემო მკითხველო! შემცდარი ბძანდებით, თუმც მოუმზადებელი მასალა სიმდიდრისათვის ბევრია, მარა უმთავრესი ღერძი ჯერ კიდევ შორს არის გამდგარი და არ ვიცი სწორეთ როდის დაგვიახლოვდება ლანჩხუთელებს. ეს ღერძი შრომის მოყვარეობაა და მასთან მიწით სარგებლობისთვის მეურნეობის შესწავლა. ჩვენდა საუბედუროთ ეს ორი უმთავრესი ღერძი ლანჩხუელებმა კიდევ ვერ შეეითვისეთ. ნეტა როდის ვისწავლით ლანჩხუთელები შრომის მოყვარეობას და მეურნეობას. მაშინ უნდა უყურო რამდენი მოძრაობა ატყდება ჩვენ სადგურზედაც... შეიძლება ვინმე ლანჩხუთელმა იწყინოს, როგორ თუ ზარმაცი ვარო, მარა ეს საწყენი არ უნდა იყოს. აი მაგ. აბა რომელმა ლანჩხუთელმა არ იცის სადგურის ქვევით რომ რუსი ჩამოსახლდა (კარგათ არ ვიცი რომელ წელში, ექვს წელზე მეტი მაინც არ არის). მოდი და ახლა რომელი ლანჩხუთელი შეედრება მას სიმდიდრით. იმას კიარ გეუბნები მილიონები აქვს მეთქი, არა, საოჯახო სიმდიდრეს მოგახსენებ: ბატი, ხვი, ინდაური და ქათმები ასობით, ლორი და ძროხა მგონი მთელ ლანჩხუთელებს ეყოფა საახალწლოთ. საიდან შეიძინა ეს სიმდიდრე? ტყე და მიწა უკანასკნელი გლეხისოდენი არ აქვს, ფულიც ჯიბეს არ უხეთქდა, მხოლოთ აქაური ქალი შეირთო და მერმე ოჯახობას მიჰყო ხელი, მარა ეს კი არ დაივიწყოთ, რომ შრომის მოყვარე იყო და მეურნეობის „ნაგლეჯიც“ შეთვისებული ჰქონდა. ჩვენ ლანჩხუთელები? ვალებთ პირს და გამველელ-გამოველელ მატარებელს შევჩერებივართ...

ჩვენ ქალებსაც დავიწყებიათ, რომ ახლა მეოცე საუკუნე მოახლოებულია და ახალი დრო თავისას ითხოვს; მათი შრომა, გამრჯელობა და საქმიანობა მხოლოთ სალამ-სალამობით სეირნობა და მატარებლის უმიზნოთ ცდაა. ხელის განძრევა და მუშაობა სირცხვილათ მიაჩნიათ. მართლაც ზოგი (გლეხები) რაიმე ნაწარმოების გასაყიდათ ჩამოდის სადგურზე, მარა მეორე დღესვე ათასი უსაქმო მძრახველი აუჩნდება, რაც ზოგიერთს იძულებულს ხდის თავი დაანებოს ამ საქმეს. არა ქალბატონებო! ახლა სხვანაირი ხანაა. დაცინვას თავი დაანებეთ და მის მაგიერ შრომას მიჰყევით ხელი.

ქალების ერთათ ერთი უმთავრესი სამუშაოვარი არის აბრეშუმის მოელა, ამ მხრით ლანჩხუთი საუკეთესო ადგილათ უნდა ჩაითვალოს, ბჟოლები, პარკების გასაყიდი ადგილი გურიაში ლანჩხუთზე უკეთესი არ არის, მხოლოთ ის არის უბედურება, რომ აბრეშუმის მოელა, როგორც საჭიროა, არ იციან, მარა მაინც ბევრი კმაყოფილი რჩება თავის შრომით.

უწინაც მქონდა მოხსენებული და ახლაც მინდა გავახსენო ბ-ნ არ. წითლიძეს და აქაურ სკოლის სხვა მასწავლებლებს, რომ დროა სკოლასთან სამეურნეო განყოფილებაც მიემატოს. მართლაც, სირცხვილია მაგისთანა გამოჭიმულ სასწავლებელთან სატუსაღოს ეზოს მზგავსი „ეზუკა“ იყოს, სადაც მხოლოთ ქვები ყრია. იქ რომ ერთი მასწავლებელთაგანი მეურნე ყოფილიყო ამ პატარა ეზოს „პარკათ“ გადააქცევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედია არ დაიზარებს აქაური ზედამხედველი ამ კითხვის აღძვრას ადგილობრივ დირექციასთან და კითხვას საქმეთაც მალე გვიქცევს. მეურნეობის მნიშვნელობის ახსნას აღარ შევუდგები, რადგანაც იმედი მაქვს მასწავლებელნი რიგიანათ აუხსნიან მას საზოგადოებას. განსაკუთრებით საჭირო მეაბრეშუმეობის შესწავლაა. ვგონებ დროა, ლანჩხუთელნო, გონს მოვიდეთ, შრომისმოყვარეობა შევითვისოთ, სწავლა-განათლებას უფრო ფართე გზა ვიცეთ და მაშინ კი თავს დავაღწევთ ძილს და სიზარმაცეს...

მეჭი სატაშკიდი.

იმერეთი. მეაბრეშუმეობა. ამ უკანასკნელ წლებში იმერეთში თანდათან ფეხი მოიკიდა მეაბრეშუმეობამ — ამ საუკეთესო და სარგებლიანმა დარგმა მრეწველობისამ. მეაბრეშუმეობას ყველაფერი ხელს უწყობს ჩვენში: კლიმატიური პირობები, თუთის ხის სიუხვე და თვით ჭიის გამოსაკვებათ საჭირო დრო. ამისათვის არის, რომ მან პირველი ადგილი დაიჭირა იმერელთა ეკონომიურ მოძრაობაში და თანდათან ფართოვდება მისი რაიონი. აბრეშუმის მოვლა-მოყვანას ჩვენში ხელს ჰკიდებს ყველა, განურჩევლათ წოდებისა და სქესისა: მდიდარი და ღარიბი, თავადი და გლეხი, ქალი და კაცი. ყველაზე მეტი შრომა ამ საქმეში ქალებს აწევსთ, რადგანაც აბრეშუმის მოსაყვანათ საჭირო დროში ისინი თავისუფალნი არიან ოჯახის საქმეებისაგან და ხომ მოგეხსენებათ: „ტყვილა ჯდომას ტყვილა შრომაც ჯობიაო“. ქალები არიან გრენის მყიდველნი, ჭიის მომვლელ-დამპურებელნი, ცახის ამდგმელნი, პარკის გამომხიკვნი. კაცები კი ბჟოლის დაბელვაში და გადატან-გადმოტანაში შეელიან. ახლა, მართალია, ისეთი მამაკაცებიც გამოჩნდენ, რომლებიც თითონვე უელიან აბრეშუმს, მაგრამ იმათი რიცხვი ჯერ ძლიერ მცირეა იმერეთში, ისინი ორივე ხელების თითებზე შეიძლება დავითვალოთ. წინა წლებთან შედარებით იმერეთს წელს ბევრი გრენის გამყიდველი ეაჭრები ესტუმრა და თესლიც ბლომათ დარიგდა. მარტო ხონში და მის ახლო-მახლო ორმოცი-ათასამდე კარობკა (კარობკა 6—7 მისხალია) დარიგდა. ისეთ ოჯახს ძვირათ ნახავდით, რომ ორი და სამი კარობკა თესლი არ ჰქონოდა ნაყიდი. ოჯახს, რომელსაც ერთი კარობკა თესლის გამოსაკვები ბჟოლა არ ჰქონდა, ორი სამი კარობკა თესლი ჰქონდა ნაყიდი. ამის მიზეზი ერთი მხრით გრენის გაიაფება იყო. პირველ ხანებში მისხალი 60 კაპ. იყო და ბოლო დროს კი, როდესაც თესლმა გამოსველა დაიწყო, მისხალი ნაურათ გახდა; ბევრი უფულოთაც არიკვდა. აქედან წარმოდგა საშინელი სიძვირე ბჟოლისა. ერთი ჩეულებრივი ძირი თუთის ხისა ფასობდა 1—8 მან., მაშინ, როდესაც წინა წლებში აბაზათ იყიდებოდა. უკანასკნელ ხანებში, როდესაც ადგილობრივი ბჟოლები დაიბელა, ყველა მიყრუებულ ალაგებიდან დაიწყეს თუთის გამოზიდვა ურმებით და ხონში ფუთობით ჰყიდდენ ფურცელს. საუბედუროთ ვერაფერმა ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნილება და ბევრი ოჯახი იძულებული იყო მეოთხე კანში ამოსული ჭიები გადაეყარა, შიმშილით მოეკლა. ამისათვის თხრიდენ ორმოებს და ყაჭს შიგ ჰყრიდენ. აუწერელია ის მწუხარება, რომელსაც გრძნობდენ ჭიის პატრონები! საცოდავები თვალ-ცრემლიანი ეთხოვებოდენ თავიანთ გაზრდილ ჭიებს. უფოთლობაც არ აკმარა წელს მეაბრეშუმეთ განგებამ, ძლიერ დასწია მისი წრევანდელი მოსავალი მაისის შეუსაბამო დარეპმა, ჯერ იყო ნამეტანი სიცხე და შემდეგ კი ცივი წვიმა. აბრეშუმის მოვლა ჯერ კიდევ არ იციან ჩვენში. ძველებურ, ჩვენებურ წკნელის ჩაფრებზე დაყრილი ჭია ღვთის ანაბარათ არის მიტოვებული. დღეში შეიძლება ორჯერ დაათვალიერონ და ისიც გამოკვების დროს, არავინ არ ფიქრობს ჭიისათვის საჭირო ტემპერატურაზე და სისუფთავეზე. სიცხეა თუ სიცივე მათთვის სულ ერთია. თუ კი ჭექა-ქუხილი ატყდა, ქალები მოიყრიან გახურებულ დარებით თავს იმ ოთახში, სადაც აბრეშუმის ჭიაა და დაიწყებენ დაკერას, აბრეშუმი არ შეგვეშინდეს, ზოგი კი შეულოცავს: „აბრეშუმო ნუ გეშინის ჭექისა და გრგვინვისაო, როგორც ჩვენ არ გეშინია.....საო“. ამგვარ არა სასურველ მდგომარეობაში მყოფ აბრეშუმმა კიდევ კარგია რომ წრევანდელისებური უნარი გამოიჩინა. მოსავალს შედარებით არაფერი უშავს. ოჯახმა 20—80-მდის პარკი გაყიდა. მოგება თითქმის არაფერი დარჩენიათ. თითო მოსახლემ ძლივს გააკეთა 5—15 გირვანქა პარკი მაშინ, როდესაც კარგი მოვლით უნდა გაეკეთებინა 25 გირვანქა. კარგს იზამს თფილისის სამეურნეო საიმპერატორო საზოგადოება, რომელიმე იმერეთის დაბაში პრაქტიკულ კურსებს გახსნიდეს ნასწავლი აგრონომის ზედამხედველობით! ამრიგათ ხალხს საშუალება ექნება პრაქტიკულათ შეისწავლოს აბრეშუმის მოვლა, თორემ თეორია თითქმის გამოუსადეგარია სოფლის ხალხისათვის. ერთმა ჩემმა ნაცნობმა აი რა მითხრა ბ. შარაშიძის ბროშიურაზე: „ჩვენ, ბატონის შვილო, უნდა შეგვეხედონ და დავისწავლით, გადავიღებთ, თუ არა ვილაც შარაშიძის წიგნი რომ მოგვცეს ის რა სარგებლობას მომიტანს. ვიკითხეთ, ვიკითხეთ, შვილს ვაკითხებდი, მაგრამ არაფერი არ გამივიდა“. მაისის უკანასკნელ სიცხეებში, პარკის გამოტანა დაიწყეს და „ფასიც გატყდა“. პირველ კვირაში პარკი გირ. ორ აბა-

ზათ იყიდებოდა და შემდეგ კი ხუთ შაურათ გახდა. ერთათ ერთი იმერეთის ამხანაგობა სულ ორ-ორ აბაზს აძლევდა, მაგრამ ფულების უქონლობის გამო ფულს ახლა მ'ოლოთ 10—12 მ.-მდე აძლევდა ფუთზე. „სასწორის თამაშის" მოყვარულთა ასალაგმავათ, მთავრობამ საჭიროთ დაინახა რამდენიმე „სასწორი" გაემართა იმერეთში. მწონელნი ამ ̇ეარ სასწორზე ადგილობრივი ინტელიგენტებია, ხონში გაყიდულ 21—22 ათასი ფუთი პარკიდან ხონის ამგვარ სასწორზე აიწონა მხოლოთ 2—3 ათასს ფუთამდე.

არ იქნება ურიგო, რომ მთავრობა ნებას არ მისცემდეს ჩარჩ მყიდველს თავისი სასწორით ყიდვისას. აბრეშუმობა 13 ივნისის გამოფენით დაბოლოდა იმერეთში. გამოფენა გაიმართა დ. ხონში და, მართალი მოგახსენოთ, გლახათ ჩაიარა. ადგილობრივი თესლი ძლიერ ცოტა მოიტანეს გამოფენაზე. თუ რამე იყო, ისიც სხვა-და-სხვა მაზრებიდან და გუბერნიიდან გამოგზავნილი. გამოფენის თესლი მაინც და მაინც შესამჩნევი არ იყო. თუმცა ის გაიმართა ხონის ცენტრში, ბულვარში, მაგრამ ხალხი მაინც ცოტა დაესწრო. მიზეზი ბევრი არის და იმათ შორის უფრო შესამჩნევია ის, რომ ზოგიერთმა ეაჟბატონებმა პირადულ ანგარიშების გამო ხმები დაჭარეს, ვინც პარკს მოიტანს გადასახადს მოუმატებენო და სხვა. გამოფენა პატარა ინციდენტით გათავდა, რომელზედაც ლაპარაკი აქ მოუხერხებელია.

შავიშ—დია.

—

სოფ. ჩორთისა (ლეჩხუმის მაზრა). ჩორთისა ძევს ლეჩხუმის და ოკრიების შუა. ამ სოფ. სამხრეთის მხრით ჩამოუდის მდინარე ლეხიდარი, რომელიც ჭყოფს ლეჩხუმს და ოკრიბს. აიღეთ, მკითხველო, რომელი მხარეც გსურთ-გინდ ზნეობრივი და გინდ მატერიალური და სხ. ყველაში, რაც დრო მოდის იმდენათ უკან იწევს, იმდენათ უკან მსვლელობა ეტყობა ამ სოფელს. თუმცაღა ადგილები ბლომათ არის, მაგრამ აქაურ ათას ქცევაში იმერულ ერთ ქცევა მიწასაც არ მისცემთ, რადგანაც ჯერ ერთი, რომ ამ ადგილებში მუშაობა მომუშავეს ძვირათ დაუჯდება. ერთი ფეხის წაფორხილება ᲓᲐᲛᲨᲔᲘᲓᲝᲑᲘᲗ და გამარჯ. ეებით, მისას ეელარაფერს გაიგებს კაცი ერთი თვის განმავლობაში და ადვილათ შეიძლება მთლათაც გაქრეს. კიდევ არაფერი, ეთქვათ რამენაირათ კ̇ეეაც დათოხნა ყანა; მაფრამ მაისის და ივანობისთვის წვიმებს, ეელარ გაღურჩება, სულ მთლათ ჩამოირეცხება, ასე რომ იმ ადგილს, რომელსაც ვინ იცის რამდენი ჭირ-ეარამი უნდა აეშორებინა საწყალი გლეხისთვის, ერთ შვენიერ მაისს ან ივანობისთვის დილას ხედავს ჩამორეცხილ მოტეტლეპილს. მართლაც, გასამტყუნარია საწყალი გლეხი რომ ამისთანა მდგომარეობაში მყოფმა ყოველივე ენერგია დაჰკარგოს ბუნებასთან ბრძოლისათვის და წინმსვლელობას უკან მსვლელობა მოჰყვეს. წარმოიდგინეთ ეკკლესიაც კი არ აქვთ, სადაც ყოველი ქრისტიანი უქმე დღეს პირჯვარს ისახავს. აბა იმისთანა სოფელს მოთხოვე შენ სასწავლებელი, სამკითხველო და ან სხვა რამე. უბრალო წერილის წასაკითხავათ მეხუთე სოფელში მაინც უნდა გადახვიდეთ, რომ იქ მაინც იშოვოთ წერილის წამკითხავი. თუმცა მეზობელ სოფელში ცხოვრებს დარახველიძე, რომელ. მაც გამოზარდა შვილი, მაგრამ მისი გამოზრდა იმ საზოგადოებისათვის უსარგებლოა; ოდნავ ნასწავლი გაურბის საწყალ ჩორთისას. მაშ რა უნდა იყოს მკითხველო, ამ სოფლის ახლანდელი ცხოვრების კვალში ჩამყენებელი? რა და სწავლა და განათლება. სწავლა-განათლება შეიძლება მოეფინოს სასწავლებლის და სამკითხველოს წყალობით, რომლების გახსნა ჯერ აზრათაც არავის მოსვლია; მხოლოთ ამას შეუძლიან ჩორთისლები გაჭირვებულ მდგომარეობიდან დაიხსნას, შეაგნებიოს მათაც ახლანდელი ცხოვრების ხანა, მოაშოროს მათ ბნელეთი. ამ სოფელში გლეხებს გარდა მეტი ნაწილი ეკუთნის აზნ. ჩარკვიანებს, ზემო ლეჩხუმში მცხოვრებთ; რასაკვირველია მათაც შეეძლოთ სწავლა-განათლების მხრივ შემწეობა აღმოეჩინათ, მარა ისინი ჯერ ფეოდალურ წრეს არც კი გამოშორებიან და მათვის,რასაკვირველია, უკეთესია გლეხების ახლანდელ მდგომარეობაში ყოფნა, რადგანაც სუსტის დამონაევება, უფრო ადვილია ვინემ ბედაურისა. დასასრულ ვთხოეთ ყველა კაცთ მოყვარე ქველ მოქმედთა და განსაკუთრებით წერა კითხვის გამ. საზ. რომ ამ წერილს ყურადღება მიაქციონ და რითაც იქნება შესაფერი დახმარება აღმოუჩინონ, როგორც ამ სოფელს, ისე სხვებსაც, რომლების მზგავსი ლეჩხუმში მრავალია.

„სოსიბ—დღნორისელი".

—

სოფ. სამიქაო. სამიქაო მდებარეობს დ. ხონის პირდაპირ დასავლეთით, მდ. ცხენის წყლის მარჯვენა ნაპირზე, სწორეთ იქ, სადაც არის საზღვარი იმერეთისა და სამეგრელოს შუა (ქუთაისისა და სენაკის მაზრა). ამიტომ ამ სოფლის ერთი ნაწილი ეკუთვნის ქუთაისის მაზრას და მეორე სენაკისას; პირველები თავის თავს იმერლებათ უწოდებენ და მეორენი კი—მეგრელებათ (ოდიშლებათ), თუმცა ყველა ისინი წმინდა ქართული ენით ლაპარაკობენ და მათში მეგრულის ხეირიანათ მცოდნეს ბევრს ვერ შეხვდე-

ბით. სამიქაო კარგა გაშლილი სოფელია და ჰავაც კარგია, შედარებით სხვა ახლო-მახლო მდებარე სოფლებთან. სიმინდის მოსავალი კარგი იცის, ხოლო ღვინო კი არ მოდის და ეს უფრო მცხოვრებლების ბრალია; რაკი ერთხელ გული გაუტყდათ ვენახზე, აღარ აკეთებენ, თვარა ვისაც აქვს, ვაზიც ჩინებულია და მტევნებიც კარგათ გამოუტანია. ამერიკულ ვაზის შენებას რომ მიჰყოფდენ ხელს, უეჭველათ იხეირებს, მარა დაუდეგნელობა თავისას არ იშლის და არა!

მცხოვრებლების უმეტეს ნაწილს გლეხობა შეადგენს, უმცირესს თავად-აზნაურობა—მიქაძეები და სხვანი. ამ დალოცვილებს ჩვენებურათ—ძველებურათ „მე ვარ და ჩემი ნაბადის!“ მღერა უფრო ეხერხებათ, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, უფრო უყვართ, ვიდრე თანამედროვე ცხოვრების სარბიელზე გამოსვლა. ამ უზრუნველობას მათზე შესაფერი კვალიც დაუჩენია. შრომის ხალხი კი—გლეხობა—წინ მიდის ნივთიერათ და გონებრივათაც. ზოგ ამათგანს თავი დაუნებებია ოჯახისთვის და „გარეთ გასულა“ ფულის საშოვრათ. ესენი მუშაობენ ფოთში, ბათომის ქარხნებში, რკინის გზაზე და რუსეთისკენაც ეტანებიან საალებ მიცემო აზრით. ამ „გარეთ გასულების“ უმცირესობას, რასაკვირველია, შეადგენს ახალგაზდობა, თვარა ძველებს ხომ კერიას ვერ მოაშორებთ.

სწავლა-განათლების მხრით ეს სოფელი მაინც და მაინც არც სხვებს ჩამორჩენია, თუ წინ ვერ გაუსწრია. აქ ორი სკოლაა: საპინისტრო და სამრევლო. პირველი ეკუთვნის იმერლებს და მეორე კი ოდიშლებს, ეს სკოლები, რომლებშიაც მოსწავლეთა რიცხვი 100—120 ადის, ეერთმანეთზე დაშორებულია სულ რამდენისამე საჟენით. ასეთი სკოლების სიმრავლე, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, გამოუწვევია აქ მეგრელების და იმერლების ერთმანეთში უკმაყოფილებას. თუმცა საუკუნოებით დაკავშირებულ ძმებში შუღლი და განხეთქილება ვერაფერი სასიამოვნო მოვლენაა და, ვინ იცის, აქ შეუმჩნეველათ რა ღვარძლი ივსება მომავლისთვის,—მარა ამ შემთხვევაში კი ამ განხეთქილებას, წარმოიდგინეთ, კაი შედეგი ჰქონია: ამას გამოუწვევია იმერლებისაგან ცალკე სამინისტრო სკოლის დაარსება; ასე ამ გვარათ ეკალმა ვარდი მოიბა!. „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, ამბობს ქართული ანდაზა.

აქაურების უმთავრეს ფულის მოსაგებ წყაროს შეადგენს სიმინდის გაყიდვა და მეაბრეშუმეობა, თუმცა ესენი საჩოხე შალებსაც აკეთებენ და ჰყიდიან თითოეულს 5—8 მან. სიმინდის ყიდვა აქ მაინცა და მაინც ბევრ სანუგეშოს ვერას წარმოადგენს, რადგანაც სიმინდის ფასი დაკლებულია: ფუთი სიმინდი იყიდება 30—35 კაპ., სახეირო ხელ-საყრელია აქ მეაბრეშუმეობა, რომელსაც ხელს უწყობს აქაური ჰავა და ბჟოლების სიმრავლე. წელს, როგორც კი დადგა მარტი, ჯერ კიდევ მარტამდისაც, გაჩდენ აქ თესლის გამყიდველები; ზოგი რა პირობას იძლეოდა და ზოგი რას თურმე. ახლა კი, როცა პარკის მოწევის დროა, ბევრი იცინის და ბევრი კი საშინლათ ჩამოლვრემილა.—„ჭიას აქამდის სასიკეთო პირი უჩანდა და ამ აშენება დაღუპვის დროს კი გვიღალატა და წახდაო“, ამბობენ, რას იზამთ, თუ უთხარით: ესა და ეს თესლი იყიდეთ ⁄ სხვებს ერიდეთო,—არაო, გიპასუხებენ,—ძალიან აქებს ი კაცი, სულს იფიცავს და ტყუილი როგორ იქნებაო! ახლა კი, როცა „სიკვდილს შემდეგ სინანული გვიანია“, მიხვდენ, რომ ის „საქები ფონი კაი ყოფილა, მარა ერთ ალაგას კი არჩობს თურმე“. საჭიროა ეს ჩარჩები აილაგმონ და მათ „მამობილ-დედობილობას“ და ფიცს გასავალი აღარ ექნეს, თვარა ქურდს მეტი რალა უნდ, თუ ფიცი იშოვნაო“, ამბობს ანდაზა.—კიდევ კარგი, რომ ამ ბოლოს მთავრობამ ყურადღება მიაქცია ხალხის ასეთ მდგომარეობას და ისინი, ასე თუ ისე, ჩარჩების ხელიდან დაიხსნა. საქმე იმაშია, რომ გასულ თვეში მთავრობის განკარგულებით დაინიშნა რამდენიმე კაცი (ამათში სამი მღვდელია) სად. აბაშაში პარკის მწონავათ. ყველა გამყიდველი ამათთან უნდა მივიდეს (ეს გამოცხადებულია სოფელში), ესენი პარკს აუწონიან და რაოდენობის ბარათს აძლევენ. ასე ამ გვარათ ჩარჩები წონაში მაინც ვეღარ მოატყუებენ გამოუცდელ სოფლებს და ესეც კარგია. გასაოცარი იყო წელს ბჟოლის სიძვირე. —10—15 ვერსის მანძილზე მდებარე სოფლებიდან მოდიოდენ აქ ქალი და კაცი ცხენებით, ურმებით ბჟოლის საყიდლათ, თითო ძირი ბჟოლა იყიდებოდა 1—8 მანეთამდე!.. შეხვდებით ისეთ მოსახლესაც, რომელსაც 40—50 მანეთის ბჟოლის ფოთოლი გაუყიდია, ანა ამას შემდე რომ ბჟოლის მყიდველმა პარკი მუქთათ დაჰკარგოს, რა დაუჯდება!.. წელს აბრეშუმს ხალხი სწორეთ რომ ეხარბა,-ვისაც ერთი კოლოფი თესლის მოვლა შეეძლო, ორი კოლოფი იყიდა. ეს დახარბება თავის-თავათ კარგი რამეცაა, მარა ამას ბევრი სამწუხარო ამბებიც მოჰყვა თან,—ამ დღეებში აქ ბჟოლის დაბელვის (ტოტების ჭრა) დროს გადმოვარდა ერთი ხნიერი კაცი (50—55 წლისა იქნებოდა), ერთი კვირა იავათმყოფა და მერე სულიც დალია. ამ გვარიეე მაგალითები სხვა სოფლებშიაც მოჰხდა. ერთ სოფელში (საჭყონდიდოში) ქალი გადმოვარდნილა და სიკვდილის პირზეა მიჰდგარიო, ამბობენ, ხოლო წალდით ხელებ დაჭრილებს თუ ხელებ მომტერე-

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ.

ულებს ზემოხსენებულ მიზეზისაგამო, არა ერთსა და ორს შეხვდებით.

დასასრულ აი რა უნდა ეთქვათ:—ზევით იყო ნათქვამი, რომ სამიქაო ცხენის წყლის პირათ ძევს, და ეს ცხენის-წყალი, გარდა იმისა, რომ მასში ბევრი მგზავრი იხრჩობა კიდეც უხიდობის გამო (მაგ., 23 აპრილს დაიხრჩო ერთი ხონიდან მომავალი ცხენოსანი; ორ ივნისს ორი ბავშვი ჩავარდა შიგ, ერთი დაიხრჩო და მეორესი კი მოარჩენაც საეჭვოა), საშინლათ აოხრებს ამ სოფელს და მასზე გადაბმულ სოფლებსაც: მაიდანს, გულუხვეთს და სხ. აუადგურებს დათესილ ყანებს და მათ პატრონებს რიყეს უტოვებს! ბევრი ადგილები, სადაც უწინ მოსახლეები ყოფილან, დღეს რიყეთაა გადაქცეული ან და წყალი დგას ზედ! მდინარის პირათ მცხოვრები მოსახლეები ტოვებენ თავთავის გაშენებულ ეზოს და წყლის მოშორებით ესახლებიან. საჭიროა და ფრიად საჭირო ამ გარემოებას მეტი ყურადღება მიექცეს, ვიდრე ახლა აქვს მიქცეული, და შესაფერი ზომები მიიღონ, ვისგანაც ჯერ-არს.

დ. ზემოუნა.

პარლამენტი და ქუჩა.

(წერილი ბელგიიდან).

პარლამენტთან ქუჩის მოხსენება, შეიძლება მკითხველს ეუცხოოს, ეჩოთიროს და ეს მიიღოს იმ პრინციპების შელახვათ, რომელზედაც პარლამენტია დაფუძნებული. შემცდარი იქნება. თუ პარლამენტი პროგრესიული დაწესებულებაა, თუ იგი ხელს უწყობს თანამედროვე საზოგადოების წინმსვლელობა-განვითარებას, ამის უმთავრესი მიზეზია ქუჩა. მარა ქუჩაც არის და ქუჩაც. ევროპაში პარლამენტი და ქუჩა მჭიდროთ არიან შეკავშირებული. პირველი ვერ გადადგამს ვერც ერთ თვალსაჩინო ნაბიჯს ისე, რომ არ შეეხოს მეორეს; მეორე არ ამოძრავდება და არ აღელდება ისე, რომ არ იქონიოს გავლენა პირველის საქმეთა მსვლელობაზე. და ეს, ასეც უნდა იყოს. რა არის პარლამენტი?—ის საკანონმდებლო დაწესებულებაა, სადაც ხალხის, საზოგადოების წარმომადგენელნი ჰმართავენ და განაგებენ ამავე საზოგადოების საქმეებს, ამავე საზოგადოების ბედ-ილბალს; და რადგან წარმომადგენელთ

ირჩევს თვითვე საზოგადოება, ცხადია, მათი მოქმედება, მათი კანონები უნდა ემსახურებოდეს ამ უკანასკნელის სარგებლობას. მორჩა და გათავდა. აქ არაფერი სადავიდარაბო არ უნდა იყოს. საქმე ასეთი უბრალო და მარტივი იქნებოდა, რომ მარტივი, ᲯᲔ ერთფეროვანი იყოს თვით საზოგადოება, ე. ი, რომ საზოგადოების წევრთ საერთო ინტერესები, საერთო მისწრაფებანი ჰქონდეთ. ნამდვილათ კი, როგორც ყველამ უწყის, თანამედროვე საზოგადოების ქვა-კუთხედი ინტერესების წინააღმდეგობაა.

პარლამენტისა და ქუჩის ჩვენ მიერ დასახელებულ ურთიერთობას ნათლათ მოწმობს სხვათა შორის ბელგიის მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრება, რომლის შესახებაც გვინდა რამდენიმე ამბავი ეუამბოთ მკითხველს.

წინა კორესპონდენციაში მოვიხსენიეთ, რომ ბელგიის სამინისტრომ შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომელიც ავიწროებს ხალხის საარჩევნო უფლებას, ხოლო კლერიკალების ბატონობას კი მკვიდრ ნიადაგზე აყენებს. პროექტმა დიდი მღელვარება „გამოიწვია, როგორც პარლამენტში, ეგრეთ წოდებულ მემარცხენე დეპუტატთა შორის, ისე ქუჩაში. მღელვარებამ შესანიშნავათ იმატა და უმაღლეს ხარისხამდე მიაღწია. ამ უკანასკნელი, ერთი კვირის განმავლობაში. აი რამდენიმე ინციდენტი (შემთხვევა).

25 ივნისს (ახ. სტ.) ბრიუსელის საზოგადო ბაღში ანუ, როგორც აქ უძახიან კოროლის პარკში, სადაც ყოველ დღე უკრავს სამხედრო მუსიკა მოსეირნეთა გასართობათ, აუარებელი ხალხი იყო შეკრებილი. ხალხმა მუსიკა მოისმინა, მემუსიკენი ტაშით დააჯილდოვა და შემდეგ ასტეხა ძახილი: „ძირს სამინისტრო!“ „ძირს კლერიკალები“ (á bas lazcalotte!) „გაუმარჯოს საერთო საარჩევნო უფლებას!“ ერთმა ორატორმა წარმოთქვა სიტყვა და მოუწოდა ხალხს, რომ ქუჩებში მოეხდინათ მანიფესტაცია. ყველანი უკვე მზათ იყვენ საამისოთ. უმალვე გააკეთეს პატარა წითელი ბაირაღები ზოგმა ხელში საჭერ ჯოხებზე, ზოგმა ქოლგებზე, სხვებმა წითელი ვარდები გაიკეთეს გულზე, აგრეთვე შლიაპებზე ოთხ-კუთხი პატარა ქაღალდის ნაჭრები ზედ წარწერებით S. U. R. P. ე. ი. საერთო საარჩ. უფლება ᲯᲔ პროპორციონალური წარმომადგენლობა, შემოსძახეს მარსელიეზა ᲯᲔ გაუდგენ ქუჩებს ჭრიამულით ᲯᲔ გუგუნით. პოლიცია დაფაცურდა, „მოინდომა „მანისფესტანტების“ „გაფანტვა მარა, რაკი



ᲰᲐᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ (ᲜᲘᲝᲘᲝᲠᲙᲨᲘ)

ხალხის სიმრავლესთან ერთად ᲗᲐᲕᲘ დაანება*). ხალხმა შემოიარა ქალაქის უმთავრესი ქუჩები და სადაც შეხვდებოდა რამე კლერიკალურ დაწესებულებას, კლერიკალურ რომელიმე გაზეთის რედაქციას, იწყებდა საშინელ სტვენას, კიჟინას: „à baszla calotte!“ (ძირს კლერიკალები!) „ძირს სამინისტრო!“ და სხვ.

მესამე დღეს, ე. ი. 27 ივნისს პარლამენტში მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ, სამხედრო მინისტრმა ვანდენპეერებომმა წინადადება შეიტანა რომ საარჩევნო პროექტის განხილვას შედგომოდენ 5 ივლისიდან (ახ. სტ.). მთავრობამ იცოდა, რომ პროექტის გახსენება პარლამენტში გამოიწვევდა დიდ წინააღმდეგობას და ამიტომ უკვე ზომები ჰქონდა მიღებული. პარლამენტის წინ მრავლათ ირეოდენ პოლიციელები, ყველა შესავალ-გასავალ კარებებში იდგენ სალდათები და თვით პარლამენტში იმყოფებოდა უმაღლესი სასამართლოს პროკურორი. მინისტრის წინადადებაზე ძალიან ახმაურდენ მემარცხენე დეპუტატები და უმეტესმა ნაწილმა განაცხადა: მაგ კითხვის გადაწყვეტაში ჩვენ მონაწილეობას არ ვღებულობთო. აი როგორ დაასაბუთეს თავიანთი უარი ზოგიერთმა მათგანმა:

ფლეშე: მე არ ვღებულობ არავითარ მონაწილეობას ისეთი პროექტის განხილვაში, რომელიც ეწინააღმდეგება ყოველსავე უფლებას და სამართლიანობას.

ჟურნე: უარს ვამბობ, რადგან არ მინდა რაიმე საერთო მქონდეს პოლიტიკურ ბოროტ მომქმედთა ავაზაკურ მოქმედებასთან. თქვენ პროკურორი მოგიწვევიათ, ჩვენ მსჯელობას სალდათები მეთვალ-ყურეობენ, განა ამას თხოულობს კონსტიტუცია?! ჩვენ მივმართავთ ხალხს და ვიხმართ თქვენ წინააღმდეგ ყოველსავე ზომას.

ვანდერველდი: უარს ვამბობ და მით ერთხელ კიდევ ვაცხადებ პროტესტს თქვენი უმზგავსო მოქმედების წინააღმდეგ.

როცა პარლამენტის თავმჯდომარემ შეკრიბა ყველა დეპუტატების ხმები, აღმოჩნდა, რომ უმრავლესობა მინისტრის წინადადების მომხრე იყო და გამოაცხადა: წინადადება მიღებულიაო. აქედან დაიწყო ნამდვილი არეულობა ᲗᲐᲕᲘ აყალ-მაყალი ანუ უკეთ წესიერი უწესოება. თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ერთ მემარჯვენე დეპუტატს (რენკინი), რომელმაც მოხსენება უნდა წაიკითხოს ახალი საკითხის შესახებ, მარა მარცხენა მხარე ისეთ ხმაურობას აყენებს, რომ ლაპარაკი ყოველად შეუძლებელია; ყურთა ხმა აღარ ისმის. კრება იხურება რამდენისამე წუთით. მარცხნივ მღერიან მარსელიეზას. როცა ხელ ახლა გაიხსნება კრება, თავმჯდომარე თხოვს კრებას დაიცვან წესიერება, ლაპარაკობს პარლამენტარული ტრადიციებზე, ამბობს რომ ობსტრუქცია, რომელსაც მემარცხენეთ მიმართავს, მეტათ სახიფათოა პარლამენტარული რეჟიმისათვის და სხვ. ამაზე რამდენიმე მემარცხენე მკვახე პასუხს აძლევს. თავმჯდომარე კვლავ მოუწოდებს ალაპარაკოთ რენკინს. როგორც კი ეს უკანასკნელი გადმოდგება ტრიბუნაზე, მარცხნივ ასტყდება უარესი ხმაურობა. რაც ძალი და ღონე აქვთ არახუნებენ სტოლებს, უსტვენენ, ყვირიან: „à bas la calotte!“ „ძირს მთავრობა!“ „გაუმარჯოს სოციალურ რესპუბლიკას!“ და სხ. ორატორი (რენკინი) შეჭმუხნული სახით დაცქერის თავის მოხსენებას და კითხულობს. ხმაურობა არა ცხრება.

ორატორი არ ჩამოდის ტრიბუნიდან. ის უფრო სწრაფათ კითხულობს და ფურცლავს მოხსენებას. თავჯდომარე გულ-ხელ დაკრეფილი და დაღვრემილი უცქერის მემარცხენეთ, რომელნიც შეუჩერებლივ არახუნებენ სტოლებს და ყვირიან „à bas la calotte!“ (ძირს კლერიკალები!) ამის პასუხათ ერთი მემარჯვენე წამოიძახებს „ძირს სოციალისტები!“ [1]) უმრავლესობა კი მარჯვნივ დარბაისლურათ სხედან თავის სკამებზე და ბოლმა მორეულნი ხან იქით გადააგდებენ კისერს და ხან აქეთ. დეპუტატი ფურემანი ჩადგება ტრიბუნასა და სტენოგრაფის შუა, იწყობს რაღაცაზე ხმა მაღლა ლაპარაკს და თანაც მუშტებს უჩვენებს ორატორს. ამის დანახვაზე რამდენიმე დეპუტატი ჩამოვა მარჯვენა მხრიდანაც და მოუდგებიან ორატორს მცველებათ. მარცხნიდან ერთი დეპუტატი (ვანდერველდი) ესერის რენკინს დაგუნდავებულ ქაღალდს, რომელიც ასცდება მიზანს და მოხვდება თავჯდომარეს თავში. ასეთმა ალიაქოთმა გაატანა სრული $^1/_2$ საათს. შემდეგ ორატორი ჩამოვიდა ტრიბუნიდან და ამხანაგებმა მას რიგ რიგათ ჩამოართვეს ხელი მადლობის ნიშნათ და მიულოცეს გულადობა. ხოლო მემარცხენენი დააჯილდოვეს სტვენით, დაცინვით და სხვა და სხვა მკვახე სიტყვებით. კრება დაიხურა. მემარცხენენი წამოდგენ ფეხზე და იმღერეს

*) პირველში მთავრობა ვერა ბედავდა სალხის მოძრაობის წინააღმდეგ აშკარა რეპრესიული ზომების მიღებას, რადგან კონსტიტუცია ნებას აძლევს ბელგიის მოქალაქეთ მოსდინონ ხოლმე ქუჩებში, როგორც მიტინგები ისე მანიფესტაციები.

[1]) ამ სიტყვების შესახებ მეორე დღეს ერთმა მემარცხენემ კითხვა დაუყენა მემარჯვენეთ: რა უფლება ქონდა თქვენ ორატორს, რომ ეს სიტყვები წამორონა? ჩვენ არ მოვითმენთ, არ მოგცემთ ნებას, რომ ასეთი სიტყვები ისროლოთ, დაგვამუოფიდეთო და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარსელიეზა. როცა გამოვიდენ გარეთ, აქ მრავლათ იყო შეკრებილი ხალხი. ესენი დიდი აღტაცებით მიეგებენ თავის წარმომადგენელთ. ერთმა დეპუტატმა შესძახა მას: „გაუმარჯოს ს. ს. უფლებას!“ — „გაუმარჯოს სოციალურ რესპუბლიკას!“ მიუგო ხალხმა.

(დასასრული იქნება)

მეგობრობა და სიყვარული.

კუძღვნი რ—ლს.

* * *

ᲔᲐᲨ, მეგობარო, თუ მოითხოვს გარემოება,
რომ დამიმტკიცო მეგობრობა შენ მეგობარსა,
ეგ შენი გული სიკეთესაც ხომ არ შეუდრეკავ?..
თუ კი რომ მიხსნი, დამიფარავ—გასწირავ თავსა?..
რატომ იტირი? მითხარ ერთი—რას ადიმები?
ჰო, იქნება ეგ თანხმობისა ნიშანი არი?
მარა მე მსურს, რომ სიტყვით მითხრა, მასმინო ხმები:
„შენ ოვის სასჯელი ვერ შემაკრთობს ვერა რა გვარი“..
ოხ, რათ ხარხარებ!.. ეს რა მესმის?!. რას შეუბნები?!.
„ჯერ ჭაბუკი ხარ, ცხოვრებასა ვერ იცნობ სრულად..
მეგობრობაში არ არს იგი ტკბილ—რამეები,
რაც იქ გვონია, რასაც ასავ სულათ და გულათ“...
მაშ მეგობრობა ფუჭი ხმაა?!. ოცნება არი?!.
მაშ მტარვლის ხელით შეიბღალა გრძნობა აგიცა?..
ჰო.. მართალია რასაც ამბობ, სიმართლე მწარი.
მაშ მეგობრობაც ფარისეველურ სახსრათა იქცა'..

* * *

ისევ შენ, სატრფოვ, შენ შეგეფერებ, შენ ერთათ-ერთსა,
შენ კი ხომ მაინც თავსა დასდებ იმ არსებისთვის,
ვინც შენთვის მზათ არს შეებრძოლოს თვით ჯოჯოხეთსა,
ან გაიმარჯვოს და ან მოკვდეს სატრფოს გულისთვის...
ვინც საუკუნო ნეტარებათ სახავს იმ წუთსა,
რომს შენთან არი, შენზე ფიქრობს, შენზე ოცნებობს,
ვინც შენით ადგენს უმართლობით დაბაგრულ გულსა,
ვინც შენით ტკბება, შენით ცოცხლობს, შენით ნუგეშობს?
შენც იდიმები?. შენცა გინდა გადაბარხარო?!..
ოხ, ნუ იტირი! მე მიუხვდი მაგ შენ დიმილსა...
გინდა მითხრა: გამოუცდელი ჭაბუკი ხარო,
და მიტომ აჭვეგ მაგ სულელურ გულის დუღილსა.
აგი გსურს მითხრა?! მაგ ნუ მეტყვი, ნუ გამგონებ!
თუმც შენი სახე უთქველათაც ამტკიცებს ამას...
გაცობრიობავ!... რა უწყალო ჯოჯოხეთის მოანე,
რომ ამ მოანობით წმინდა გრძნობებს უკარგავ ძალსა!..
რომ მეგობრობა, სიყვარული ფუჭ სმენათ ხდება,
რომ ძმის გულისთვის გალესვინებს ურცხვათა დანასა..
ნეტავ როდემდის იფარფაშებს ეს ბოროტება?...
ნეტავ სიმართლეს უმართლობა სანამ დაჭყარავს?!..

ჟ. გოგოლაძე.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ

ᲙᲘᲠᲘᲚᲚᲘᲡ

ძველი და ახალი მეურნეობა.

2. ფეოდალური დროის მეურნეობა.

(შემდეგი)

როგორც გლეხის ოჯახი საშუალო-საუკუნოებში ერთ ოჯახურ კომმუნას წარმოადგენდა, რომელიც კარჩაკეტილათ ცხოვრებდა და თავის მოთხოვნილებებს თავისმიერვე დამუშავებული ნაწარმოებებით იკმაყოფილებდა, ისევე მაშინდელი სოფელი ეკონომიურათ ერთ კარ-ჩაკეტილ კომმუნას შეადგენდა, რომელსაც გერმანულათ Markgenossenschaft— „მარკული“ ამხანაგობა ეწოდება.

ყოველ ოჯახს თითო ნაჭერი მიწა ეჭირა, რომელიც მის კერძო საკუთრებათ ითვლებოდა. ამ მიწას გარშემო ღობე ჰქონდა შემოვლებული და მთლათ გლეხის ეზოს შეადგენდა. შიგ ეზოში გლეხის ოჯახის სადგომი სახლი იყო აგებული, აგრეთვე სხვა შენობებიც, რომლების ქონება ოჯახობისთვის საჭირო იყო. ამ ეზოში აშენებდა გლეხი ბოსტნეულობას, ხეხილს და სხვ. მთელი სოფელი-კი რამდენსამე ასეთ ეზოებისაგან შედგებოდა, სოფელს გარეთ სახნავ-სათესი მიწა იყო, რომელიც ნაკვეთებათ იყო დანაწილებული. იქ, საცა წარმოების სამ-მინდვროვანი სისტემა არსებობდა, — სისტემა, რომელიც ყველა სხვა სისტემებზე უფრო გავრცელებული იყო, —მთელი სახნავ-სათესი მიწა სამ ნაწილათ ანუ ნაკვეთათ იყო დაყოფილი. თითოეული ნაკვეთი კიდევ თაღრებათ იყო დანაწილებული. ყოველ თაღარაში თითოეულ ოჯახს მიწის თითო ნაჭერი (ყანა) ჰქონდა საკუთრებათ მიჩენილი. სახნავ-სათესი მიწის გარშემო ტყე და საძოვარი იყო გაშვებული, რომელიც მთელი სოფლის საერთო საკუთრებას შეადგენდა.

თავის ნაწილზე თითოეული ოჯახი თავისთვის მუშაობდა, მხოლოთ არა თვით—ნებობით, არამედ

ეროვნული

არსებული ადათის მიხედვით. სახნავზე ხორბლეულობა მოჰყავდათ ადამიანების გამოსაკვებად. მაგრამ რადგან მიწელს წარმოებაში შინაური საქონლის მოშენებას უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ პირველი ადგილიც მაშინ საძოვარ მიწას ეჭირა. თუ ხვნა-თესვა თითოეული ოჯახის კერძო საქმეს შეადგენდა, სამაგიეროთ საძოვარი ისევ მთელი სოფლის საერთო საგანი იყო. ქონებრივი ურთიერთობაც ამ წარმოების წესზე იყო დამოკიდებული. მიწა ვითარცა სახნავ-სათესი, კერძო საკუთრებას შეადგენდა, ხოლო როგორც საძოვარი—საერთო საკუთრებას. როგორც კი ყანაში ძოსავალი მოიკრიფებოდა, მიწა საერთო საძოვრად ხდებოდა: იქ მთელი სოფლის პირუტყვები ძოვდენ და ამ შემთხვევაში ვისიმე კერძო საკუთრების გარჩევა აღარ იყო. როგორც ნაჩალეები, ისე დასასვენებლად დატოვებული მიწაც მთელი სოფლის პირუტყვების საერთო საძოვარს შეადგენდა. და ეს კი შეუძლებელი იქნებოდა, სოფლის თითოეული წევრი რომ საკუთარ თვით-ნებობას გაჰყოლოდა და თავისი ყანა ისე შეემუშავებია, როგორც მას მოესურვებოდა. ამიტომ არსებობდა ადათი, რომლის ძალითაც ნაკვეთის მონაწილენი ვალდებულნი იყვენ, მიწა ერთგვარად, ერთი წესით და რიგით დაემუშავებიათ (Flurzwang). ყოველ წელიწადს ერთ ნაწილს მთელი სახნავ-სათესი მიწისას, რომელიც, როგორც ვთქვით, სამათ დაყოფილი იყო, ასვენებდენ და დაუმუშავებელს ტოვებდენ; მეორე ნაწილზე საზამთრო ხორბლეულობას თესდენ და მესამეზე—საზაფხულოს. ამ სახით თითოეულ ნაწილზე ყოველ წლივ სხვა-და-სხვა გვარი ხორბალი ითესებოდა, შინაური საქონელი საკვებს ნაჩალევში, დასასვენებლად დატოვებულ მიწებზე, სათიბ მინდვრებზე და ტყეში პოულობდა.

აი, ეს იყო სამ-მინდვროვანი სისტემა, სისტემა, რომელიც იმ დროს გლეხის ცხოვრების ერთ მთავარ ბურჯს შეადგენდა. ოჯახურ ხელოსნობაზე არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა გლეხის კეთილ-დღეობისათვის ამ სისტემას. სამ-მინდვროვანი სისტემა, მდიდარი ტყით და საძოვრითურთ, არაფრის გარედან შემოტანას არ საჭიროებდა. პირუტყვი ნაკელს იძლეოდა, რომელიც მიწის სასუქად საჭირო იყო, საძოვრის საერთოთ ფლობელობა და ყანების ერთ გვარად დამუშავების ადათი სოფლელებს ერთმანეთს აკავშირებდა, ძალას აძლევდა, რომ მათ მყელეფავ ბატონებისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეძლებოდათ.

მაგრამ, თუმცა ეს სისტემა ასეთი მტკიცე რამ იყო, ქალაქის მრეწველობის განვითარებას და ფულის ეკონომიას მან მაინც ვერ გაუძლო. ხსენებულმა განვითარებამ ეს სისტემაც გლეხის ხელოსნობასავით მოიდნო.

—

მართალია, სამ-მინდვროვანი სისტემა მეურნეობაში წარმოებას მტკიცე საფუძველზე ამყარებდა და გლეხის არსებობის მტკიცე ნიადაგს შეადგენდა, მაგრამ სამაგიეროთ მეურნეობის განვითარებისათვის იგივე სისტემა ხელ-ფეხის შემბოჭველი ჯაჭვი იყო. ამ სისტემის წყალობით შეუძლებელი იყო ახალი კულტურის შემოღება, ახალი მცენარეების გაშენება და წარმოების ინტენსიურ საფუძველზე დაყენება. ერთხელ დამკვიდრებული საკალდებულო ადათი მიწის ერთნაირად, ერთ „შაბლონზე“ დამუშავებას თხოულობდა. და ახალი რამ წესის შემოღებას კერძო პირების მიერ, რასაკვირველია, ეს ტრადიცია ეწინააღმდეგებოდა. თუ რამე ახალი მცენარის, მაგალ. კართოფილის, კულტურა შემოდიოდა, ეს სახნავ-სათეს მიწებზე როდი ხდებოდა, არამედ ოჯახების ეზოებში, ან და ზოგიერთ დიდ მამულებში, რომლებზედაც საკალდებულო ადათს გავლენა არ ჰქონდა.

ფულის მოთხოვნილების გაძლიერებამ, როგორც ვთქვით, საკვებ მასალათა წარმოების გაფართოება საჭიროთ გახადა. ამასთან საჭირო შეიქნა აგრეთვე მაზრის მოთხოვნილებასთან წარმოების შესაბამება, რასაც ძველი წარმოების წესი ხელს უშლიდა და მსხვილ მეურნესთვის ასეთ შესაბამებას შეუძლებელათ ხდიდა.

საშუალო საუკუნოების წარმოების წესი საუცხოოთ შესაბამებული იყო სოფლური კომმუნის მოთხოვნილებებთან, იმ კომმუნის, რომლის წევრებს თანასწორი უფლებები და თანასწორი ცხოვრების სახსარი ჰქონდათ და რომლებიც ნაწარმოებს მათ შორისვე მოსახმარათ აწარმოებდენ. მაგრამ, აი, წარმოდგა ბაზარი, თავისი ცვალებადი მოთხოვნილებებით, გაიზარდა უთანასწორობა სოფლის წევრთ შორის, რომელთაგან ზოგნი მიწას იმდენ ნაწარმოებს ძლივს აღებინებდენ, რაც მათ საარჩოთ ჰყოფნიდათ, ზოგნი-კი საკუთარ მოსახმარზე მეტსაც აწარმოებდენ. პირველნი, წვრილი მწარმოებელნი, საკუთარი მოხმარებისათვის იწერდენ ნამუშავარს და ამიტომ მიწის საერთო ფლობელობასაც ძალიან იცავდენ. მეორეებისათვის-კი ეს საერთო ფლობელობა აუტანელი დაბრკოლება იყო, რადგან, რა ნაირიც უნდა ყოფილიყო ბაზრის მოთხოვნილება, ისინი იძულებულნი იყვენ, თავ-თავის ყანებში ის მცენარეები მოეყვენათ, რაც სოფლის სხვა წევრებს მოჰყავდათ.

ასეთივე ინტერესთა განხეთქილება წარმოდგა საზოგადო საძოვარის შესახებაც. წვრილ გლეხს ესაჭიროებოდა ეს საზოგადო საძოვარი, მას არ ჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეძლება, რომ წარმოების უფრო გაუმჯობესებული წესი შემოეღო, საძოვარის გაყოფვა-კი მისთვის შინაური საქონლის მოშენებას თითქმის შეუძლებელათ ხდიდა. ნაკელი მას ძალიან ესაჭიროვებოდა; საძოვარის გაყოფვა-კი მას ცოტა მიწას სძენდა, მაგრამ ნაკელს უმცირებდა და ამიტომ ის იძულებული ხდებოდა, საქონლის ყოფა შეემცირებია. მსხვილი გლეხები-კი მიწის საძოვრათ დატოვებას შეუნდობელ ფლანგვათ თვლიდენ, რადგან მათ საშუალება ჰქონდათ, მიწისთვის უფრო მეტი ნაყოფი გამოეღებინებიათ. და ამ უკანასკნელთა მხარეზე იდგენ აგრეთვე უფრო მაღალი, პირველათ ინგლისში განვითარებული, წარმოების წესის წარმომადგენელი თეორეტიკოსებიც.

წარმოების უფრო მაღალი წესის შემოღება რომ შესაძლებელი გამხდარიყო, საჭირო იყო, კომპრომისსი მიწის საერთო ფლობელობასა და კერძო საკუთრებას შორის, რასაც საშუალ-საუკუნოების წარმოების სისტემა წარმოადგენდა, დანგრეულიყო. საჭირო იყო საზოგადო საძოვარის გაყოფვა, მიწის საერთო ფლობელობის და მწარმოებლის შემბოჭველი ადათის (Flurzwang) უკუგდება და სრული კერძო საკუთრების დამკვიდრება, რომ პატრონს შეძლებოდა საკუთარი მიწის კონკურენციისა და ბაზრის კანონების მიხედვით დამუშავება.

თუმცა მეტათ საჭირო იყო ქონებრივ ურთიერთობათა ასეთი რევოლიუცია სოფლათ, სოფლის ხალხში მაინც ეკონომიურმა განვითარებამ ვერ წარმოშვა ისეთი კლასსი, რომელსაც ამ რევოლიუციის მოხდენა ეთავებია და კიდეც დაესრულებია.

მაგრამ მეურნეობა ახალ დროში ისეთი დარგი როდია, რომელიც ვითომ თავისთვის, სხვა ყველაფრისაგან დამოუკიდებლათ, არსებობდეს საზოგადოებაში. მეურნეობის განვითარება მტკიცეთ შეკავშირებულია მთელი საზოგადოების განვითარებასთან. ის რევოლიუციონური ინიციატივა და ძალა, რომელიც მეურნეობამ თავისი საშოდან ვერ წარმოშობა, ქალაქმა მიაწოდა მას. ეკონომიურმა განვითარებამ ქალაქში სულ ერთიან გადაატრიალა სოფლის ეკონომიური პირობანი და ქონებრივ ურთიერთობათა შეცვლაც აუცილებლათ გადააქცია. ამავე განვითარებამ შეჰქმნა ქალაქში ის რევოლიუციონური კლასები, რომლებმაც ფეოდალიზმის წინააღმდეგ აჯანყებით პოლიტიკური და იურიდიული რევოლიუცია ქალაქიდან სოფლებში გაიტანეს; აქ ამ რევოლიუციას სოფლის ხალხი ტაშის კვრით და სიხარულით ეგებებოდა, ხან და ხან კი ეწინააღმდეგებოდა კიდეც, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, როგორც პირველს ისე მეორე შემთხვევაში, რევოლიუციონური მოძრაობა ძლევა მოსილი გამოდიოდა.

პირველათ, „განათლებული“ აბსოლიუტიზმის მოსამსახურე ქალაქელი ბიუროკრატია იყო, ის, რომელიც ცვლილებების შემოღებას ცდილობდა, თუ ცა ყოველთვის მშიშრათ და გაუბედავათ. 1789 წ ლს პარიჟის რევოლიუციანური კლასსები, პოლიტიკურათ ბურჟუაზიის წინამძღოლობით, აჯანყდენ და ბასტილის დანგრევამ დაბეჩავებული გლეხები ფეოდალური მონობისაგან განსათვისუფლებლა, მოიწვია, აი მაშინ მოხდა საფრანგეთში სოფლის ქონებრივ ურთიერთობათა ძირითადი ცვლილება და შემდეგ, რევოლუციის ზეგავლენით, საფრანგეთის მეზობელ სახელმწიფოებშიაც სწრაფათ განხორციელდა.

ეს ცვლილება საფრანგეთში ძალ-მოსრეობით შესრულდა, ე. ი. უცებ და ისეთ ნაირათ, რომ გლეხები არამც თუ განთავისუფლდენ ფეოდალური ტვირთისგან, არამედ მათ ეკკლესიებზე და ემიგრანტებზე ართმეული მამულებიდანაც ხვედათ მიწა წილათ, რამდენათაც-კი ეს მიწა ბურჟუაზიის დაპატრონებას გადაურჩა.

ინგლისთან დამარცხების შემდეგ პრუსსიაშიაც ცვლილების შემოღება აუცილებელი შეიქნა. ეს ცვლილება აქ, როგორც მთელ გერმანიაში, მშვიდობიანი და ლეგალური გზით შესრულდა, ე. ი. აუცილებელი პროცესსი ბიუროკრატიამ განახორციელა. მაგრამ განახორციელა გვიანობით, ფეხის უკან—უკანთრევით, ბევრი შრომისა და ხარჯის უსარგებლოთ გაფლანგვით. და ყველა ეს კი თავად-აზნაურობის სასარგებლოთ მოხდა. მშვიდობიანათ და კანონიერათ შემოღებული რეფორმა გლეხს ძალიან ძვირათ დაუჯდა: მან ამისთვის ნაღდი ფული და საკუთარი მიწა გადაიხადა და თავი ახალი გადასახადებით დაიბეგრა.

„ის სასყიდელი, რომელიც გლეხებმა თავის განთავისუფლებაში თავად-აზნაურობას და ხაზინას მისცეს, სულ ცოტა რომ ვთქვათ, 300 მილლიონ ტალერს აღემატება, იქნება ერთ მილლიარდ მარკამდინაც აღწევდეს.

„ერთი მილლიარდი მარკა! და მერე რისთვის? მხოლოთ გლეხებზე უსამართლოთ დადებული ტვირთის ასაღებათ; საუკუნოების განმავლობაში გლეხებისაგან წართმეული მიწის ერთი პატარა ნაწილის უკან დასაბრუნებლათ! ეს ხომ ცნობილია, რომ გლეხებს პაწაწა ნაწილი ჰხვედათ, ხოლო თავად-აზნაურობისა და ხაზინის ხელში-კი ისევ უზარმაზარი მამულები დარჩა“. (ფრიდრიხ ენგელსი).

ყირიმის ომს შემდეგ რუსეთის მეურნეობაშიაც მოხდა რეფორმა. რუსეთში გლეხები გაანთავისუფლეს

ყმობისაგან, მაგრამ ამასთან მათი საუკეთესო მიწებისაგანაც.

ყოველ შემთხვევაში, ეკონომიური რევოლიუცია მშვიდობიანათ მოხდა თუ ძალმომრეობით, შედეგი მას ყველგან ერთი და იგივე მოჰყვა: ფეოდალური მონობის მოსპობა, მიწის საერთო ფლობელობის მოშლა და მამულზე კერძო საკუთრების დამყარება. და ამით კაპიტალისტურ წარმოებას გზა გაეხსნა.

ᲗᲐ. ᲞᲐᲢᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ქართველ ფარმაცევტთა საყურადღებოთ.

ᲐᲛ წლის დეკემბრის გასულს მოსკოვში დანიშნულია სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა კონგრესი. ჩვენ მივიღეთ კონგრესის მოსაწვევ ბიუროსაგან შეტყობინება, საიდანაც, ჩვენ ფარმაცევტთა საყურადღებოთ, მოგვაგზავნეს შემდეგი. კონგრესის საგანია: 1) სამეცნიერო მოხსენება ფარმაციის, ფარმა-კოგნოზიის და სხვა საფარმაცევტო კითხვათა შესახებ; 2) ადმოჩენა საშუალებების, რომელთა შემწეობით შეიძლებოდეს ფარმაცევტთა რიცხვის გაძრავება, რადგან ამ ბოლო დროს ის თანდათან კლებულობს; 3) ფარმაცევტთა საზოგადო და სპეციალური განათლების გაუმჯობესება და ამაღლება. 4) ზომების ადმოჩენა წინააღმდეგ მავნებლობისა, რომელიც წარმოდგება ავთიაქის გარეთ წამლების გაყიდვისაგან; 5) საფთიაქო საქმეთა მდგომარეობა ერობის, საზოგადო და კერძო სამკურნალოებში. 6) მომზადებული ფარმაცევტების მიშვება სანიტარულ-ჰიგიენურ გამოკვლევებში. და 7) საფარმაცევტო საქმის საჭიროებათ მოწყობა საზოგადოთ მთელ იმპერიაში. რეფერატები ამ საგანთა შესახებ უნდა იქმნას წარდგენილი არა უგვიანეს 1 სექტემბრისა, ხოლო სამეცნიერო გამოკვლევანი არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა. წევრმა უნდა გადიხადოს 15 მ. წევრობა შეუძლია ყველა ფარმაცევტს, მსოლოთ საჭიროა დასწრების სურვილი დროზე გაუგზავნოს ბიუროს (Мясницкая, д. № 57, кв. 23) და საწევრო ფული გაგზავნოს.

კონგრესი გაიტანს 7 დღეს. ბიუროს მდივანია ფარმაციის მაგისტრი ივ. ტუეშელაშვილი.

კრიტიკული შენიშვნები.

(„ამოდის ნათდება“ და სხვა მოთხრობები ვაჟაფშაველისა. 1898 წ.)

Სიხარულით ვეგებები ყოველ საყმაწვილო წიგნს, თუნდა დიდი ღირსებისაც არ იყოს; ჩვენ ბავშვებს ისე ცოტა აქვსთ საკითხავი, რომ დიდ ღირსებად ეთვლება! ვაჟაფშაველას წიგნაკი ისეთის ღირსების არის, რომ საყმაწვილო ლიტერატურაში საპატიო ადგილს დაიჭერს; რამდენათაც ყმაწვილებისათვის არის ეს წიგნი შესაფერი, იმდენათვე ხალხისათვისაც. უმთავრესი ღირსება ყველა ამ მოთხრობებისა არის მეტათ ცოცხალი, მხატვრული ენა, ზნეობრივი აზრი, ზოგი ერთა ნადირის ცხოვრების გაცნობა;—ყველა ამგვარი თვისებები ამ მოთხრობებისა პატარა ყმაწვილს კითხვას შეაყვარებს და შესაფერ მასალასაც მისცემს მის გონებას.

წიგნში მოთავსებულია ოთხი მოთხრობა; ერთს გარდა ყველაში ოთხეული ან ფრინველია მომქმედ პირებათ გამოყვანილი. პირველში აწერილია მგლების ცხოვრება ზამთარში. ᲛᲝᲒᲠᲝᲕᲔᲓᲔᲜ ერთ ზამთრის ღამეში მშიერი მგლები იმ განზრახვით, რომ სოფელს შეჰპარონ დენ, დაეშვენ თავქვე სოფლისაკენ, მაგრამ ამ დროს მთვარე ამოვიდა, შუქი მოჰფინა არემარეს და მგლების სულმეც ჩაიშალა; სოფელში ვეღარ შეიპარებოდენ. ᲛᲔᲛᲨᲘᲚᲛᲐ თავისი ქნა: მგლებმა ერთმანეთს დაუწყეს თვალიერება, შემდეგ მიცვივდენ ბებერ მგელს, და მალე ბეწვიც კი გააქრეს მისი. მეორე მოთხრობა „დათვი“ საუკეთესოთ მიგვაჩნია მთელ წიგნში; აქ მოთხრობილია შესანიშნავი შემთხვევა სოფლის ისტორიაში: დათვის მოკვლა! პირველ თავში აწერილია დათვი თავისი ზნეხასიათით ისე ხელოვნურათ, რომ კარგი მეცნიერული წერილიც ვერ დაუხატავს ბავშს დათვს ასე ცოცხლათ, როგორც აქ არის დახატული. მეორე თავში აწერილია, თუ როგორ გაჩნდა ერთ სოფელში დათვი, როგორ მოემზადენ სოფლელები იმის მოსაკლავათ, გაილაშქრეს და დაამარცხეს დათუნა. სოფელში როცა დათვის ბინას მიაგნებენ, საუკეთესო მონადირეები დ გულადი ბიჭები მოიყრიან თავს, შეიქნება დაჟანგებული თოფების ფერეა, ცულების ლესვა და ბოლოს ისეთი ამბით წაელენ დათვზე სანადიროთ, თითქო სიმშობლოს მტერს ებრძოლებიანო. ყოველივე ეს ისე ცოცხლათ არის აწერილი, თითქოს თქვენის თვალით ხედავდეთ; ისეთი მოთხრობის შინაარსის გადმოცემა, რომლის უმთავრესი ღირსება მხატვრულ აღწერილობაში მდგომარეობს, ბნელი არის და უფერულიც გამოდის; ამიტომ არც ეკისრულობთ შინაარსის გარდმოცემას. შეიძლება, მიპასუხო, მკითხველო: „როგორც გინდა, ისე ფქვამ; ხან წუნობ ცალიერ ესტეტიკას, ხან არაო“ მაგრამ ერთი ეს,—რომ ამ მოთხრობაში, როგორც უკვე მოგახსენე, მარტო ესტეტიკა არ არის; მეორე—რაც ეპატიება კი არა, მოეთხოვება კიდეც საყმაწვილო მოთხრობების დამწერს, ის დაეძრახება ბელლეტრისტს ან პოეტს. დიდი ადამიანის გონებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა წარუდგინო ცხოვრების დამახასიათებელი სურათები, ფორმისათვის კი ჩვეულებრივი ნორმა არსებობს: ენა უნდა იყოს უბრალო, ადვილათ გასაგები, მეტი საჭირო არ არის; დიდისათვის უმთავრესი მნიშვნელობა შინაარსსა აქვს. როცა მწერალი მკითხველს ან არარაობას ან დაობებულ და გაცვეთილ აზრს აწვდის ულამაზეს ფორმაში, ამისთანა მწერალი თვითონაც უქმათ ჰკარგავს დროს, სხვასაც აცდენს. პატარა ბავშვების მწერალი კი ხშირათ სხვა გვარ პირობებშია: პატარას, ათ-თერთმეტ წლამდე, სანამ ზნეობრივ აზრებს მიაწვდიდე, კითხვა უნდა შეაყვარო; ამას კი მხოლოთ ცოცხალი ენით დაწერილი მოთხრობებით და მხატვრული დასურათებით მიაღწევთ. ამ მოთხრობაში გაიცნობს ბავში აგრეთვე ხალხის ზოგიერთ ცრუმორწმუნეობას. გიგოლიმ გარგი სიზმარი ნახა და მხიარულათ მიდიოდა დათვის მოსაკლავათ, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ დათვს მოჰკლავდა; თუ ცუდი სიზმარი ენახა, უეჭველია, მეორე დღეს სანადიროთ აღარ წავიდოდა. გაემგზავრენ დათვის მოსაკლავათ; გაცილდენ თუ არა სოფელს, ჯერ კურდღელმა გადაურბინა წინ. შემდეგ მელამ: ეს კი გლეხებს თვალში ცუდი ნიშანი იყო. ყველა დაღონდა და, გიგოლის რომ არა, უკანვე დაბრუნებას აპირებდენ. სხვები თუ შეაშინა კურდღელმა და მელიამ, გიგოლი რატომ აღარ შეშინდა? იმიტომ რომ მან კარგი სიზმარი, „დაცდილი სიზმარი“ ნახა; როცა ამ სიზმარს ნახავდა, უთუოთ მოჰკლავდა რასმე! თევდორამ და ქიტესამ წილი ჰყარეს, დათვი რომელს დაბეგვსო; წილი ქიტესას ერგო.

თევდორე ახლა თითქმის დარწმუნებულია, რომ წილი თუ კი არ ერგო, დათვი ველარ დაბეგვავს; ქიტესა კი გულ ნატკენია იმით, რომ წილმა ამაო არგუნა დათვისაგან დაბეგვა.

ორ უკანასკნელ ამბავს იგავის ხასიათი აქვსთ. პატრონმა ვირი ამუშავა და, როცა ვირი დაბერდა და ღონე გამოელია, გააგდო ცივ ზამთარში. ადამიანმა ვირი არ შეიბრალა, მაგრამ პირუტყვებმა—ირმებმა შეიბრალეს და მოუარეს; საჭმელი უშოვნეს და სიკვდილს გადაარჩინეს.

ყოველგვარ ზნეობრივ სწავლას ბავშვებისათვის მხოლოთ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა ეს ზნეობრივი აზრი მოთხრობაში ძალდაუტანებლათ არის გატარებული. როცა ზნეობრივი სწავლა ნაძალადევათ არის მოთხრობაში ჩაკერებული, როცა ამკარათ ჩანს, რომ ავტორს ხელოვნურათ შეუქმნია სხვადა-სხვა პირობები რაიმე ზნეობრივი აზრის განსამარტებლათ, მაშინ ასეთი მოთხრობები მიზანს ვერ აღწევენ: ბავშვებისათვის მათ სარგებლობა ვერ მოაქვსთ. „უძლურ ვირში“ კი ზნეობრივი აზრი, როგორც მაგ. ყველა ცხოველისადმი სიბრალული, მათი სიყვარული, მათთვის ზრუნვა, მათი ხოცვის სირცხვილი, ბუნებრივათ არის გატარებული და თვით მოთხრობის მსვლელობის შედეგია. ხოლო ვირის დახასიათებაში ავტორი შემცდარია: ყველა მეიგავეების ვირი უჭკუობისა და უზრდელობის წარმომადგენელია; ამგვარი შეხედულება მარტო მეიგავეების სენტენცია არ არის, მათი ფანტაზიის ნაყოფი როდია,—ხალხიც ისე უყურებს ვირს, როგორც უჭკუო, რეგვენ და უზრდელ პირუტყვს. ეაქთუშაველას „უძლური ვირი“ კი ნამეტანი ჭკვიანი და ზრდილობიანია. ირემი ვირს საჭმელს აწვდის, ვირი მადლიერია და ამავე დროს წუხს, მე დიდხანს ველარ ვიცოცხლებ მაინც და ვაი თუ შენც (ირემს) საზრდო დაგაკლოვო. პატრონმა მას ჯაფით სული გააძრო, სასიკვდილოთ არ დაზოგა და როცა ბედმა ვირსაც ვაუღიმა და პატრონი მას კუდზე მოაბეს დასაგლეჯათ, ვირის ზნეს კი არ მიბაძა და სამაგიერო კი არ გადაუხადა, მტრებს გადაარჩინა.

უკანასკნელ ამბავში გამაძღარი სვავი კლდის თავზედ ზის, თავის თავის ქებაშია და ბულბულის კიცხვაში, რომლის ქებაც წინეთ ყორანისაგან გაუგონია. აი მოფრინდა ყორანი და ჩამოჯდა კლდეზე სვავის მორი-ახლოს. სვავმა თხოვა: მიამბე, როგორ გალობდა ბულბულიო, და ყორანიც მოუყვა: ბულბული უკალობდა ყვავილებს, ტყეს, ანკარა წყალს, მზეს, ნიავს, სვავსა და ყორნებს ჰკიცხავდაო.—მე რომ ეგ გამეგონა, მაშინვე შუაზე გავგლეჯდიო, მოუვიდა სვავს გული.—ისე ლამაზათ ამბობდა, რომ დამიმონაო, უპასუხა ყორანმა. სვავმა გადაწყვიტა, მოესმინა ბულბულის გალობა. რომ დალამდა, ის და ყორანი ჭალაში ჩავშვენ. ბულბულის გალობამ სვავსაც კი გული დაუკოდა და თვალები აუცრემლა. ახლა დარწმუნდა სვავი, რომ, რაც უნდა ამხილოს ბულბულმა, ვერაფერს ვერ გაუბედავს. ასეთი პოეზიის შემდეგ სვავსა და ყორანს, შუადღისას ხეში ლეშზე ეხედავთ! მთელი ამბავი ალეგორია არის. ავტორს უსათუოთ ბულბულის სახით პოეტი გამოჰყავს. ჩვენ უნდა დავუმატოთ, რომ, თუმცა სვავის გულმაც კი იგრძნო ბულბულის გალობის სიშვენიერე, მარა რამდენსამე საათს შემდეგ ის ისევ ლეშს შეექცეოდა და მის გულს ეს სრულიათაც არ ეზიზღებოდა. ბულბულის ტკბილმა ხმამ, ცალიერმა ესტეტიკამ სვავი ისევ სვავათ დატოვა! შეიძლება, უფრო მეტის სიამოვნებით მოუჯდა ლეშს.

ვინც პოეტს ადარებს ბულბულს, რომელიც ვარდს, მზეს და მთვარეს უგალობს, ის პოეზიაში უმთავრესათ ესტეტიურ მხარეს ეძებს და აფასებს. შეიძლება ამის შესახებ უფრო შესაფერ ალეგორ. შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეხედეს მკითხველთან ლაპარაკი, მარა ახლაც, არ შეგეძლია არა ეთქვათ, რომ დღეს ყოველი მწერლის მოვალეობა ქართველი მკითხველის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ, თუ შეუძლია, სხვა უფრო საჭირო და დროს შესაფერი მიაწოდოს, ვიდრე ცალიერი ესტეტიკა. წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ ზაფხულის შვენიერ დღეს უსიერ მთაში გზა დაგებულ ხართ. ლამე თუ მთაში დარჩით, საშიშია. ნუ თუ თქვენ გზის ძებნას თავს დაანებებთ და გულს ასე დაიმშვიდებთ: „გულო, რათ გინდა გზის პოვნა? შეხედე, შენ გარშემო რა დიადი სურათს წარმოადგენს ბუნება: მთის ფარაჯნი ამართულან და უხე ფოთლებში მზის შუს აკრთობენ; ჩიტები საამურათ ყლურტულებენ; ნაკადულები მოჩუხჩუხებენ და მდელოთი შემოსილ ნაპირებს ესიყვარულებიან და სხ. და სხ.“ რანაირი ესტეტიკოსიც უნდა იყოთ, დიადი ბუნების ლამაზი სურათები ვერ დაამშვიდებენ თქვენ გულს, სანამ გზას არ იპოვით. ჩვენი საზოგადოებაც დღეს გზა დაბნეულია: ჩვენი ცხოვრების სასწორი ისტორიულმა აუცილებლობამ შეარყია და აატოკა; რა არის დროს გადასული ან მოსასპობი, რა არის დროს შესაფერი ან ხელმოსაჭიდი, არავინ იცის,—ყველა გამოურკვეველ მდგომარეობაშია; ამისთანა დროს ხალხს ცხოვრების გათვალისწინება უნდა, ჭეშმარიტი გზის ჩვენება და არა ბულბულის ნაზი გალობა, ვარდისა და მზის მკობა.

ივ. გომართელი.

ჩვენ კიდევ ვიბრძოლებთ.

(ტურგენიევიდან.)

ოგჯერ სულ უბრალო რამეს შეუძლია ადამიანის გადაკეთება. ორმათ ჩაფიქრებული მოვდიოდი ერთხელ დიდ გზაზე. მწარე წინაგრძნობა ორლნიდა ჩემ გულს. მწუხარებამ შემიპყრო. თავი აეწია მაღლა... ჩემ წინ ორ რიგათ ჩამწკრივებულ ალვის ხეებ შორის მოჩანდა კარგა შორს გზა.

და ამ გზაზე, სწორეთ ამ ზაფხულის მზით გაკაშკაშებულ გზაზე, ზემოდან ათ ნაბიჯზე მოშორებით, დახტოდა ერთი პატარა ჩიტის ოჯახი, დახტოდა მხიარულათ, გაბედვით, სასაცილოთ, თავგამოდებით!

მეტადრე ერთი მათგანი წინამძღვრობდა, ამაყათ გვერდზე მოგოგავდა, ჩინჩახვი გაებერა, შეუპოვრათ ჭიკჭიკებდა, თითქო ეშმაკსაც თავზე ახტებოდა! ერთი სიტყვით მხედარ-მთავარი იყო — მხედარ-მთავარი!

მაგრამ მას მაღლა ცაში თავს დასტრიალებდა ერთი მიმინო, რომლის ლუკმათ, ვინ იცის, იქნება ეს მხედარ-მთავარი გამხდარიყო.

მე შეეხედე, გავიცინე, დავიძარი—და ნაღვლიანი ფიქრები მაშინვე გამეცალენ: გამბედაობა, მხნეობა, სიცოცხლის სურვილი ყველა ერთათ ვიგრძენ.

დეე, ვიფიქრე მე, თავზე დამტრიალებდეს ჩემი მიმინო...

— ჩვენ კიდევ ვიბრძოლებთ, დალახვროს ღმერთმა!

კორრესპოდენტი.

(მ ი ს ი გ ე)

ორი მეგობარი მოსხდომოდენ მაგიდას და ჩაის სვამდენ.

უეცარი ხმაურობა ატყდა ქუჩაში. მოიმა გულსაკლავი ოხერა, უშვერი ლანძღვა-გინება, ზოგისაგან ბოროტი დაცინება.

— ვილასაც სცემენ, თქვა ერთმა მეგობართაგანმა, რომელმაც გადიხედა ფანჯრიდან.

— დაბნაშავეს? კაცის მკვლელის?—ჰკითხა მეორემ—ყური დაშიგდე, ვინც უნდა იყოს, არ შეიძლება, რომ აგრე უწყალოთ ხალხმა სცემოს; წავიდეთ, გამოვესარჩლოთ.

— არა, კაცის მკვლელს არა სცემენ.

— თუ კაცის მკვლელს არა, მაშ, ქურდს თუ სცემენ? სულ ერთია, წავიდეთ, დავიხსნათ ბრბოსაგან.

არც ქურდი ყოფილა.

— არც ქურდი ყოფილა? მაშ რკინის გზის მოსამსახურე იქნებოდა, ან ხაზინადარი, ან ჯარის მოიჯარადრე, ან ადვოკატი, ან რუსის ლიტერატურის მფარველი, ან კათილ საიმედო რედაქტორი, ან საზოგადოებისთვის თავდადებული?.. მაინც წავიდეთ ვუშველოთ.

— არა... კორრესპოდენტია, იმას სცემენ.

— აა! კორრესპოდენტს სცემენ!—იცი რა გითხრა, მაშ ჯერ ჩაი გავათავოთ.

საქველ-მოქმედო საქმე

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ ჟურნალ „ბგალის“ საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო პატივცემულ კაპიტანს ილია ისაკის ძე ხოსიტაშვილს, რომლისგანაც მივიღე სოფ. ანაგის სამრევლო სკოლისათვის 5 მან. წიგნების კითხვას და წაკითხულის მოსმენას ჩვენ სოფელში ძალიან მიეჩვიენ არამც თუ მოწაფეები, არამედ მათი მშობლებიც, რომელთაც სისარულით დაიტაცეს წასაკითხათ ეს შემოწირული წიგნაკები.

მასწავლებელი ქ. ზარაფიშვილისა.

—

ნება მიბოძეთ, „ბგალის“ საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო ანაგის სამრევლო სკოლის მასწავლებელს ქ-ბ-ნ ზარაფიშვილს, რომელმაც ჩემდა სასარგებლოთ 20 მ. და 70 ბ. მოაგროვა და გამომიგზავნა. მადლობას გწირავ აგრეთვე შემომწირველთ.

ქ. მოსკოვი. ის. კვიცარიძე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 10 Іюля 1899 г. Тип. Т. М. Ротиніянца—სტამბა ტ. ბ. როტინიანცისა Гол. пр. д. № 41.